

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
კონტინენტალ სითი კრედიტი

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	6
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	8
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	9
1 ზოგადი ინფორმაცია	9
2 მომზადების საფუძველი	10
3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
4 წმინდა საპროცენტო შემოსავალი	22
5 თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	22
6 სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	22
7 დაბეგვრა	23
8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24
9 კლიენტებზე გაცემული სესხები	24
10 ძირითადი საშუალებები	30
11 არამატერიალური აქტივები	31
12 სხვა აქტივები	31
13 მიღებული სესხები	32
14 სხვა ვალდებულებები	34
15 კაპიტალი	34
16 რისკების მართვა	34
17 კაპიტალის მართვა	43
18 გაუთვალისწინებელი გარემოებები	44
19 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	45
20 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულება და სააღრიცხვო კლასიფიკაციები	45
21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	47



შპს KPMG Georgia
ბესიკის ქ. 4, მე-2 სართ.
თბილისი, 0108
საქართველო
ტელეფონი +995 (32) 2935695
ფაქსი +995 (32) 2935713
ვებ-გვერდი www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კონტინენტალ სითი კრედიტი“-ს
მიწილეებს და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „კონტინენტალ სითი კრედიტი“-ს და მისი შვილობილი კომპანიის, შპს „სისი ლოუნ“-ის (შემდგომში „ჯგუფი“), კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს ამ თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების უზრუნველსაყოფად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით, რომელიც წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს ეთიკის ნორმების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი გულისხმობს გარკვეული პროცედურების ჩატარებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკის შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს, შესაფერისია თუ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემა ორგანიზაციის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კონტინენტალ სითი კრედიტი“
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 2

და სამართლიანი წარდგენისათვის, რომლის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების სისწორის შეფასებას, და, აგრეთვე, მთლიანად წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

KPMG Georgia LLC


შპს KPMG Georgia
თბილისი, საქართველო
17 აგვისტო




შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კონტინენტალ სითი კრედიტი“
 კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის
 ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნები	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
საპროცენტო შემოსავალი	4	10,505	4,133
საპროცენტო ხარჯი	4	(2,141)	(912)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		8,364	3,221
მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი		5	126
მოსაკრებელი და საკომისიო ხარჯები		(38)	(22)
წმინდა მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი		(33)	104
გაცვლითი კურსით გამოწვეული წმინდა მოგება		839	326
სხვა საოპერაციო შემოსავალი		122	52
საოპერაციო შემოსავალი		9,292	3,703
გაუფასურების ზარალი	9	(2,040)	(198)
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	5	(2,031)	(1,164)
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,025)	(656)
მოგება დაბეგვრამდე		3,190	1,685
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(720)	(246)
მოგება და სხვა სრული შემოსავალი საანგარიშგებო პერიოდისთვის		2,470	1,439
მიკუთვნიებული მოგება:			
- ჯგუფის მეწილეები		2,402	1,442
-არაკონტროლირებადი წილი		68	(3)
მოგება და სხვა სრული შემოსავალი საანგარიშგებო პერიოდისთვის		2,470	1,439

5-47 გვერდებზე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2016 წლის 17 აგვისტოს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:


 გ. გოგუაძე
 უფროსი აღმასრულებელი
 ოფიცერი


 ი. წიკლაური
 უფროსი ბუღალტერი

*შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კონტინენტალ სითი კრედიტი“
კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2015 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით*

	შენიშვნები	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	3,966	1,471
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	19,711	13,705
ძირითადი საშუალებები	10	424	326
არამატერიალური აქტივები	11	47	43
გადავადებული საგადასახადო აქტივები	8	315	43
სხვა აქტივები	12	1,942	827
სულ აქტივები		26,405	16,415
ვალდებულებები			
მიღებული სესხი:	13		
- ძირი		20,144	10,111
- პროცენტი		14	13
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		708	191
სხვა ვალდებულებები	14	115	146
სულ ვალდებულებები		20,981	10,461
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	4,800	4,800
გაუნაწილებელი მოგება		539	1,157
გჯუფის მეწილეებზე მიკუთვნილებული მთლიანი კაპიტალი		5,339	5,957
არაკონტროლირებადი წილი		85	
სულ კაპიტალი		5,424	5,954
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		26,405	16,415

ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს

*შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კონტინენტალ სითი კრედიტი“
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის*

	2015	2014
შენიშვნები	ლარი'000	ლარი'000
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტები	9,433	2,868
გადახდილი პროცენტები	(2,158)	(903)
მიღებული მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავლები	5	1,131
გადახდილი მოსაკრებელი და საკომისიო ხარჯები	(38)	(22)
გადახდილი სხვა ხარჯები	(28)	52
გადახდილი თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	(2,030)	(1,164)
გადახდილი სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	(1,823)	(543)
ზრდა საოპერაციო აქტივებში		
კლიენტებზე გაცემული სესხები	(2,902)	(5,026)
სხვა აქტივები	(1,117)	(318)
კლება საოპერაციო ვალდებულებებში		
სხვა ვალდებულებები	(140)	82
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები დაბეგრამდე	(798)	(3,843)
გადახდილი საშემოსავლო ბეგარა	(475)	(182)
ოპერაციებში გამოყენებული ფულადი სახსრები	(1,082)	(4,025)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(280)	(120)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(8)	(1)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	(288)	(121)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრები მიღებული სესხებიდან	23,916	7,905
სესხების დაფარვა	(17,358)	(2,307)
გადახდილი დივიდენდები	(3,020)	(790)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	3,538	4,808
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	1,977	662
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	518	68
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის/პერიოდის დასაწყისში	1,471	741
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის/პერიოდის ბოლოს	9	1,471

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კონტინენტალ სითი კრედიტი“
 კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილების შესახებ 2015 წლის 31 დეკემბრით
 დასრულებული წლისთვის

ლარი '000	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არაკონტრო- ლირებადი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,800	505	5,305	-	5,305
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1,442	1,442	(3)	1,439
კაპიტალზე ასახული ტრანზაქციები მეწილეებთან					
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	-	(790)	(790)	-	(790)
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,800	1,157	5,957	(3)	5,954
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,800	1,157	5,957	(3)	5,954
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	2,402	2,402	68	2,470
კაპიტალზე ასახული ტრანზაქციები მეწილეებთან					
არაკონტროლირებადი წილის მიერ შვილობილის კაპიტალის გაზრდა	-	-	-	20	20
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	-	(3,020)	(3,020)	-	(3,020)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,800	539	5,339	85	5,424

კაპიტალში ცვლილების შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს

1 ზოგადი ინფორმაცია

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კონტინენტალ სითი კრედიტი“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილის ფინანსური ანგარიშგებებისგან (შემდგომში ერთად „ჯგუფი“).

კომპანია დაარსდა 2012 წლის 6 მარტს 2006 წლის 18 ივლისით დათარიღებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის ჭავჭავაძის გამზირი, #23-23ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის მთავარი საქმიანობაა სამომხმარებლო და სალომბრდე მიკროსესხების გაცემა თბილისში. კომპანიის საქმიანობა განისაზღვრება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს შესაბამისი კანონით და რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ.

2014 წლის აგვისტოში, კომპანიამ დააარსა ახალი შვილობილი კომპანია: შპს „სისი ლოუნ“, სადაც 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ის ფლობს მთლიანი წილის 90%-ს, ხოლო დარჩენილი 10% ეკუთვნის საქართველოს ორ რეზიდენტ პირს. შვილობილი კომპანია დარეგისტრირებულია საქართველოში, ოპერირებს საქართველოში და მის საქმიანობას წარმოადგენს ონლაინ კრედიტების გაცემა .

კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს მფლობელთა საერთო კრება. კომპანიის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები ინიშნებიან მფლობელთა საერთო კრების მიერ. კომპანიის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას ახორციელებენ დირექტორები, რომლებსაც სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფლობს სამი ფიზიკური პირი: მიხეილ ბაშიროვი (1/3 წილი), დავით უზარაშვილი (1/3 წილი) და გაი ბენ ლევი (1/3 წილი).

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფლობდა ორი ფიზიკური პირი: მიხაელ ბაშიროვი (50%) და დავით უზარაშვილი (50%).

კომპანიის სასესხო დაფინანსების 20% (2014: 24%) და საკრედიტო რისკი მოდის მფლობელებისგან, რის შედეგადაც კომპანია ეკონომიკურადაა დამოკიდებული მფლობელებზე და კომპანიის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული მფლობელების მოთხოვნებთან.

მფლობელებს აქვთ უფლება კომპანიის ოპერაციების მიმართულეა საკუთარი შეხედულებისამებრ და თავიანთ სასარგებლოდ წარმართონ. მათ ასევე გააჩნიათ სხვა ბიზნეს ინტერესები კომპანიის გარეთ.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია მე-19 შენიშვნაში.

(ბ) ბიზნეს გარემო საქართველოში

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ჯგუფის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2 მომზადების საფუძველი

(ა) ანგარიშგების შესაბამისობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

(ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

(გ) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა; ის ასახავს უმეტესობა ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარადაა მითითებული.

(დ) დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ხელმძღვანელობისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და ვარაუდების გაკეთებას აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფაქტობრივი შედეგები შესაძლებელია განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

დაშვებები და შეფასებები გადაიხედება პერიოდულად. გადახედილი დაშვებების აღიარება ხდება გადახედვის პერიოდსა და ნებისმიერ მომავალ პერიოდში.

ინფორმაცია შეფასებების არასარწმუნოებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს არსებული მნიშვნელოვანი დაშვებების შესახებ აღწერილია მე-9 შენიშვნაში, რომელიც გაცემული სესხების გაუფასურების შეფასებას ეხება.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდის მიმართ.

(ა) კონსოლიდაციის საფუძვლები

(i) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ინვესტიციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. ჯგუფი აკონტროლებს ინვესტირებულ კომპანიებს როდესაც მას შვილობილი კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უფლება გააჩნია და აქვს ძალაუფლება მიიღოს მონაწილეობა/ზეგავლენა მოახდინოს შვილობილი კომპანიის ცვლად გარემოებებზე. კერძოდ, ჯგუფი აკონსოლიდირებს ინვესტიციებს, რომლებსაც აკონტროლებს დე ფაქტო გარემოებების საფუძველზე. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები არის თანდართული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დამყარების თარიღიდან მის დასრულებამდე.

(ii) კონსოლიდაციის დროს აღმოფხვრილი ტრანზაქციები

ჯგუფის კომპანიებს შორის არსებული ბალანსები, ტრანზაქციები და ნებისმიერი ჯგუფთაშორის ტრანზაქციებით გამოწვეული არარეალიზებული მოგება არის აღმოფხვრილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(ბ) არაკონტროლირებადი წილი

არაკონტროლირებადი წილი არის შვილობილი კომპანიის კაპიტალი რომელიც არ მიეკუთვნება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მფლობელ კომპანიას.

არაკონტროლირებადი წილი წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „კაპიტალი“-ს განყოფილებაში სადაც ასევე ცალკეა წარმოდგენილი ჯგუფის მეწილეთა კაპიტალი. კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის უწყისში არაკონტროლირებადი წილი ცალკე არის წარმოდგენილი.

(გ) უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში ოპერაციის შესაბამისი თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ლარში კონვერტაცია ხორციელდება ამ თარიღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა (რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური პროცენტისა და გადახდების გათვალისწინებით პერიოდის განმავლობაში) და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას (დაკონვერტირებულს საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსით) შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით აღრიცხული არა-ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამუშაო ვალუტაში კონვერტაცია ხდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არა-ფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით.

კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგება ან ზარალში.

(დ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისგან, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა 3 თვეზე ნაკლებია. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) კლასიფიკაცია

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა ფასი აქტიურ ბაზარზე კოტირებული არ არის, გარდა იმისა:

- რომელთა გაყიდვასაც ჯგუფი დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში ვარაუდობს,
- რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი განსაზღვრავს, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხულ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი განსაზღვრავს, როგორც გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებს;
- რომელთათვისაც გჯუფმა შესაძლოა ვერ ამოიღოს მთლიანი საწყისი ინვესტიცია, საკრედიტო გართულებების გარდა სხვა მიზეზის გამო.

ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტების შესაფერის კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ჯგუფი ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში, რომელიც შედგება კლიენტებზე გაცემული სესხებისგან და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან.

ჯგუფი ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავენ სესხებს და სხვა ვალდებულებებს.

(ii) აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოებს იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც ჯგუფი გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე. ფინანსური აქტივების შეძენის სტანდარტული შემთხვევები აღირიცხება ანგარიშსწორების წარმოების თარიღისთვის.

(iii) შეფასება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხორციელდება რეალური ღირებულებით, დამატებული ტრანზაქციის ღირებულება (იმ აქტივების ან ვალდებულებებისთვის, რომლებიც არაა აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით), რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების (წარმოებული აქტივების ჩათვლით) აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით, შეძენის ან გადაცემისას გარიგების ღირებულების გამოკლების გარეშე, გარდა სესხების და მოთხოვნებისა, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც განისაზღვრება რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებად მოგებაში ან ზარალში ასახვით, და იმ ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოიშვება რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გადაცემისას, რომელიც არ განაპირობებს აღიარების შეწყვეტას, აღრიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(iv) ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს ძირითადი გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა და მინუს გაუფასურების ზარალი.

პრემიები და დისკონტები, თავდაპირველი ოპერაციის ხარჯების ჩათვლით, ჩართულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ამ ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

(v) რეალური ღირებულების შეფასების პრინციპები

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ვალდებულების რეალური ღირებულება ასახავს შეუსრულებლობის რისკს.

როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემულ ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი არ არსებობს, ჯგუფი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში.

თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულება. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან, და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტურ აქტივზე ან ვალდებულებაზე აქტიურ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობით. ამ ფასსა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა შემდეგ სათანადო წესით აღიარდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან გარიგება დაიხურება.

(vi) მოგება ან ზარალი შემდგომი შეფასებისას

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსავალი ან ხარჯი კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში აღიარდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას ან გაუფასურებისას, და ამორტიზაციის პროცესში.

(vii) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა ჯგუფი გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როცა ჯგუფი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკებსა და სარგებელს და არ აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს.

გადაცემულ ფინანსურ აქტივში (რომელიც ექვემდებარება აღიარების შეწყვეტას) დარჩენილი ნებისმიერი წილი, რომელიც იქმნება ან რჩება ჯგუფში, აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება, ან იწურება.

ჯგუფი ახორციელებს იმ აქტივების ჩამოწერას, რომელთა გადახდა უიმედოდაა მიჩნეული.

(viii) ჩათვლა

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ჩათვლილი და ნეტო თანხით წარმოდგენილი მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი უფლება, რომ ჩათვლილ იქნეს აღიარებული თანხები და არის ურთიერთჩათვლის განზრახვა, ან არსებობს ვალდებულების დაფარვისა და აქტივის რეალიზაციის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

(ვ) ძირითადი საშუალებები

(i) საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

თუ ძირითადი საშუალება ისეთი მსხვილი კომპონენტებისაგან შედგება, რომელთაც სხვადასხვა სასარგებლო მოხმარების ვადა აქვთ, კომპონენტების აღრიცხვა ხდება ცალ-ცალკე.

(ii) ცვეთა

ცვეთა აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან. მიწა არ იცვითება.

ძირითადი საშუალებებისთვის ჯგუფს განსაზღვრული აქვს შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

- | | |
|---------------------------------------|----------------|
| - კომპიუტერები | 4 წელი |
| - მანქანები | 5 წელი |
| - ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა | 5 წელი |
| - იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 3-დან 5 წლამდე |
| - სხვა | 5 წელი |

საიჯარო ქონების გაუმჯობესება ამორტიზირდება იჯარისა და სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმოკლესის განმავლობაში.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადა და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ანგარიშგების თარიღისას და კორექტირდება საჭიროების მიხედვით.

(ზ) არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, ამორტიზაციისა და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

შესყიდული კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება იმ დანახარჯების საფუძველზე, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ამ აქტივის შეძენასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ამორტიზაცია აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მოხმარების მიახლოებითი ვადები 5-დან 7 წლამდე შეადგენს.

(თ) დასაკუთრებული ქონება

დასაკუთრებული ქონება წარმოადგენს ჯგუფის მიერ ვადაგადაცილებული სესხების ნაცვლად მიღებულ ფინანსურ ან არაფინანსურ აქტივს. ჯგუფი აღიარებს დასაკუთრებულ აქტივებს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როდესაც მას აქვს სრული და საბოლოო გამოყენების უფლება უზრუნველყოფაზე.

თავდაპირველად დასაკუთრებისას, აქტივების შეფასება ხდება უმცირესით საბალანსო ღირებულებასა და რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით მიღებულ სამართლიან ღირებულებას შორის და აღიარდება ძირითად საშუალებებში, სხვა ფინანსურ აქტივებში, ან მარაგებში, მათი ბუნების და ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით

ჯგუფის განზრახვის მიხედვით. შესაბამისად ხდება მათი გადაფასება და გატარება აქტივების ამ კატეგორიისთვის დასახული საბუღალტრო პოლიტიკის თანახმად.

დასაკუთრებული ქონების საბალანსო ღირებულება იზომება პრობლემური სესხის თანხაზე დაყრდნობით, უზრუნველყოფის დასაკუთრებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით. რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები წარმოადგენს, უზრუნველყოფის სარეალიზაციო ფასს ბიზნესის ჩვეულებრივი წარმოების პირობებში გამოკლებული რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

(ი) გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივები ან აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. თუ არსებობს ასეთი მტკიცებულება, ჯგუფი განსაზღვრავს გაუფასურებისაგან მიღებული ზარალის თანხას.

ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება და გაუფასურების ზარალი წარმოიქმნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმ გაუფასურების, რომელიც გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე იმ მოვლენით, რომელიც/რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ამგვარმა მოვლენამ (ან მოვლენებმა) ზეგავლენა იქონია მის მომავალ სავარაუდო ფულად ნაკადებზე, რომლის სარწმუნოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ობიექტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურდა, მოიცავს მსესხებლის მიერ სესხის თანხის გადაუხდელობას ან სესხთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებისა თუ პირობის დარღვევის შემთხვევას, ფინანსური აქტივის ან აქტივთა ჯგუფის რესტრუქტურისაგან ისეთი პირობებით, რომლებსაც ჯგუფი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა, ნიშნებს იმის თაობაზე, რომ მსესხებელი ან თავმდები გაკოტრდა, ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობას, უზრუნველყოფის გაუფასურებას ან აქტივების ჯგუფთან დაკავშირებულ სხვა შესამჩნევ მონაცემებს, მაგალითად, ჯგუფში შემავალი მსესხებლების გადახდის მაჩვენებელში უარყოფით ცვლილებებს, ან ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალი მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

(i) ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შედგება სესხებისა და სხვა მოთხოვნებისგან. ჯგუფი რეგულარულად ახდენს გადახედვას მათი გაუფასურების შეფასების მიზნით.

ჯგუფი უპირველესად აფასებს იმას, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისა და მოთხოვნებისათვის, და არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად და კოლექტიურად სესხებისა და მოთხოვნებისათვის, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული სესხების ან მოთხოვნების (მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი სესხს

აერთიანებს მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე სესხებსა და მოთხოვნებში და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების კუთხით და რომელთათვისაც გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება და გრძელდება, გაუფასურების ერთობლივი შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სესხთან ან მოთხოვნასთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის დადგომის ობიექტური მტკიცებულება, ამ ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა სესხის ან მოთხოვნის საბალანსო ღირებულებასა და სესხის ან მოთხოვნის დისკონტირებული მომავალი სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მათ შორის თავდაპირველი გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან ამოღებადი მომავალი ფულადი ნაკადების), რომელიც დისკონტირებულია სესხის ან მოთხოვნის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და მიმდინარე ეკონომიკური პირობების ამსახველი შესაბამისი შესამჩნევი მონაცემების საფუძველზე დაკორექტირებული ისტორიული ზარალი.

ზოგ შემთხვევაში, სესხზე ან მოთხოვნაზე დამდგარი გაუფასურების ზარალის ოდენობის განსაზღვრისთვის აუცილებელი შესამჩნევი მონაცემები შეზღუდულია ან სრულად აღარ შეესაბამება მიმდინარე მდგომარეობას. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა მსესხებელს აქვს ფინანსური პრობლემები და მსგავსი მსესხებლების შესახებ ხელმისაწვდომი ისტორიული მონაცემები მცირეა. ამ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით ჯგუფი ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას.

მაშინ, როდესაც სესხის ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვების მიმართ. ჯგუფი ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს (და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს), როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც დასრულდება ყველა ის ქმედება, რომელიც გამიზნული იყო სესხის ამოსაღებად.

(ii) არაფინანსური აქტივები

გადავადებული გადასახადების გარდა, ჯგუფის სხვა არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების მაჩვენებელი. არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება არის ამ აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე არსებული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და

აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგება-ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კომპენსირებისას კორექტირდება მხოლოდ იმ ოდენობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის საბალანსო ღირებულებას ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების ზარალის აღიარება არ მოხდებოდა.

(კ) კაპიტალი

(i) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი.

(ii) დივიდენდები

ჯგუფის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

დივიდენდების ასახვა ხორციელდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების პუნქტში მათი გამოცხადების პერიოდისათვის.

(ლ) დაბეგრა

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგება ან ზარალში, იმ ოდენობის გარდა რაც უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებას ან მფლობელებთან ტრანზაქციებს, რომლებიც პირდაპირ კაპიტალშია აღიარებული. ამ შემთხვევაში ის აღიარებულია ერთობლივ შემოსავალში ან კაპიტალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი არის მოსალოდნელი გადასახადი წლის დასაბეგრ შემოსავალზე, იმ საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს საანგარიშგებო თარიღისთვის, და, აგრეთვე, წინა წლებში გადახდილი ნებისმიერი გადასახადის კორექტირებებით.

გადავადებული გადასახადის დათვლა ხდება იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებიც არსებობს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის. თავდაპირველი აღიარებისას არ ითვალისწინება იმ აქტივებისა და ვალდებულებების დროებითი სხვაობები, რომლებიც არ ზემოქმედებს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე.

გადავადებული გადასახადისა და ვალდებულებების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რასაც ჯგუფი მოელის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა აანაზღაუროს ან დაფაროს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ხდება საგადასახადო განაკვეთის მიხედვით, რომელიც, სავარაუდოდ, დროებითი სხვაობების მიმართ გამოიყენება მათი ცვლილებისას ანგარიშგების თარიღისთვის მიღებული ან არსებითად მიღებული კანონების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მომავალში დასაბეგრი შემოსავლების მიღების ალბათობა, რომლის მიმართაც შესაძლო იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და კრედიტის გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები მცირდება, თუ აღარ არის მოსალოდნელი, რომ მოხდება შესაბამისი საგადასახადო შეღავათის რეალიზება.

(მ) შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის გაცემის საკომისიო, სესხის მომსახურების საკომისიო და სხვა საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენენ სესხის ზოგადი შემოსავლიანობის განუყოფელ ნაწილს, დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, ექვემდებარებიან გადავადებას და ამორტიზაციას საპროცენტო შემოსავლის მიმართ, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სარგებლიანობის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა მოსაკრებლების, საკომისიოებისა და სხვა შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

დივიდენდის შემოსავლის აღიარება მოგება-ზარალში ხდება დივიდენდის გამოცხადების დღეს.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით საოპერაციო იჯარის ვადის ამოწურვამდე. მიღებული საიჯარო სტიმულირება აღიარდება როგორც სრული საიჯარო ხარჯის შემადგენელი ნაწილი, იჯარის ვადის განმავლობაში.

(ნ) ახალი სტანდარტები და ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის დანერგილი

მთელი რიგი სტანდარტები, აგრეთვე, დამატებები სტანდარტებსა და ახსნა-განმარტებებში ჯერ კიდევ არ მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამდენად, აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მათი გამოყენების

*შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კონტინენტალ სითი კრედიტი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2015 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის*

გარეშე მომზადდა. შემდეგ სტანდარტებს და/ან ახსნა-განმარტებებს ექნებათ გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე. ჯგუფი აპირებს მათ გამოყენებას ძალაში შესვლისთანავე.

ახალი ან შესწორებული სტანდარტი	მოთხოვნები	სავარაუდო ზეგავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე
ფასს 9 <i>ფინანსური ინსტრუმენტები</i>	ფასს 9, გამოქვეყნებული 2014 წლის ივლისში, შეცვლის ბასს 39 <i>ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასებას</i> . ფასს 9 მოიცავს შესწორებულ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მათ შორის ახალი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელს, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული ფინანსური აქტივების გაუფასურების დასათვლელად, და ახალ ზოგადი ჰეჯირების სააღრიცხვო მოთხოვნებს. მას ასევე ბასს 39-დან მოაქვს მითითებები ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის თაობაზე. სტანდარტი ძალაში შევა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვრიდან და შესაძლებელია ადრე დანერგვა.	ჯგუფი აფასებს ფასს 9-ის გამოყენებით გამოწვეულ სავარაუდო ზეგავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
ფასს 15 <i>შემოსავლები მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტებიდან</i>	ფასს 15 ადგენს ამომწურავ ჩარჩოს იმის განსასაზღვრად თუ როდის და რამდენი შემოსავალი უნდა აღიარდეს. ის ცვლის არსებულ შემოსავლების აღიარების მითითებებს, მათ შორის ბასს 18 <i>შემოსავალი</i> , ბასს 11 <i>სამშენებლო კონტრაქტები</i> და IFRIC 13 <i>მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამა</i> . ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ შემოსავალი უნდა გამოხატავდეს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას იმ თანხით, რომელიც ასახავს იმ კომპენსაციას, რომელსაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. ახალ სტანდარტს აქვს გაღრმავებული წარდგენა შემოსავლის შესახებ, იძლევა მითითებებს ტრანზაქციებზე, რომლებიც ადრე არ იყვნენ სრულად განხილულნი და აუმჯობესებს მრავალეფემენტიანი შეთანხმებების შესახებ მითითებებს. სტანდარტი ძალაში შევა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვრიდან და შესაძლებელია ადრე დანერგვა.	ჯგუფი აფასებს ფასს 15-ის გამოყენებით გამოწვეულ სავარაუდო ზეგავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

4 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები	10,367	4,068
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	138	65
	10,505	4,133
საპროცენტო ხარჯი		
სესხები	(2,141)	(912)
	8,364	3,211

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან შეიცავს 3,233 ათასი ლარის ოდენობის (2014: 1,468 ათასი ლარი) შემოსავალს, დაგროვილს, გაუფასურების ნიშნების მქონე ფინანსურ აქტივებზე.

5 თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
თანამშრომელთა ანაზღაურება	1,410	931
საშემოსავლო გადასახადი	621	233
	2,031	1,164

6 სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	613	23
იჯარის ხარჯები	388	269
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	167	41
ცვეთა და ამორტიზაცია	163	132
მოსაკრებელი და საკომისიო ხარჯები	149	-
სესხოს საშუამავლო ხარჯი	148	-
იურიდიული ხარჯი	132	52
პროფესიული ხარჯი	58	25
მიმდინარე შეკეთების ხარჯი	51	51
მასალები და საოფისე მარაგები	18	8
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	6	3
საკანცელარიო ხარჯები	5	5
დაცვის ხარჯები	4	4
სხვა	123	43
	2,025	656

7 დაბეგრა

	2015	2014
	ლარი'000	ლარი'000
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯები	992	283
გადავადებული მოგების გადასახადი დროებითი სხვაობების წარმოშობისა და ამოწურვის შედეგად	(272)	(37)
სულ მოგების გადასახადის ხარჯები	720	246

2015 წლისთვის მიმდინარე და გადავადებული გადასახადების განაკვეთი 15%-ია (2014: 15%).

ეფექტურ საგადასახადო განაკვეთთან შეჯერება 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის :

	2015		2014	
	ლარი'000	%	ლარი'000	%
მოგება დაბეგრამდე	3,190		1,685	
მოგების გადასახადი მოქმედი განაკვეთით	479	15.0	253	15
დაუბეგრავი შემოსავალი	241	7.6	(7)	(0.4)
	720	22.6	246	14.6%

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

დროებითი სხვაობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის გამოყენებული აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ნაშთებს და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივს 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. გამოსაქვითი დროებითი სხვაობები არ კარგავენ ძალას არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

დროებითი სხვაობების მოძრაობები 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ლარი'000	ნაშთი	აღიარებული	ნაშთი
	1 იანვარი 2015	მოგება-ზარალში	31 დეკემბერი 2015
კლიენტებზე გაცემული სესხები	65	281	346
ძირითადი საშუალებები	(26)	(10)	(36)
არამატერიალური აქტივები	2	1	3
სესხები	2	-	2
	43	272	315

*შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კონტინენტალ სითი კრედიტი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2015 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის*

ლარი'000	ნაშთი	აღიარებული	ნაშთი
	1 იანვარი 2014	მოგება-ზარალში	31 დეკემბერი 2014
კლიენტებზე გაცემული სესხები	23	42	65
ძირითადი საშუალებები	(23)	(3)	(26)
არამატერიალური აქტივები	-	2	2
სხვა აქტივები	3	(3)	-
სესხები	-	2	2
სხვა ვალდებულებები	3	(3)	-
	6	37	43

8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
ნაღდი ფული	29	29
ნაშთები ბანკში	3,937	1,442
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,966	1,471

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული. ჯგუფის ფულადი სახსრების უმეტესობა განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომლებსაც საკრედიტო რეიტინგის კვლევის სააგენტო Fitch-მა მიანიჭა B (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- (გრძელვადიანი რეიტინგი), BB (გრძელვადიანი რეიტინგი) და B (გრძელვადიანი რეიტინგი).

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს 1 ბანკი (2014: ნული), რომლის ნაშთი კაპიტალის 10%-ს აღემატება.

9 კლიენტებზე გაცემული სესხები

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
სესხის ძირი	18,541	13,230
დარიცხული პროცენტი	1,170	475
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	19,711	13,705
	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები		
უმრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	14,593	13,548
არაუზრუნველყოფილი მოკლევადიანი სესხები*	7,261	241
სხვა უზრუნველყოფილი სესხები	212	231
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	22,066	14,020
კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები	22,066	14,020
გაუფასურების რეზერვი	(2,355)	(315)
კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები	19,711	13,705

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კონტინენტალ სითი კრედიტი“
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2015 წლის 31 დეკემბერს
 დასრულებული წლისათვის

* არაუზრუნველყოფილი მოკლევადიანი სესხები შედგება შპს „სისი ლოუნის“ მიერ მომხმარებლებზე გაცემული ონლაინ სესხებისგან, რომლებიც გაიცემა 30 დღემდე ვადით. სესხის მაქსიმალური თანხა არის 700 ლარი, საკომისიო - 133 ლარი (სესხის თანხის 19%). ყველა სესხი არის უზრუნველყოფის გარეშე და ერთადერთი გზა რისკების შესამცირებლად არის მომხმარებლების გადახდისუნარიანობის შეფასება, მისი მახასიათებლებისა და ისტორიული მონაცემების ანალიზი. სესხის გაცემასა და მიღებასთან დაკავშირებული ყველა ტრანზაქცია სრულდება ნაღდი ფულის გარეშე, ინტერნეტის მეშვეობით. თაღლითობის თავიდან ასაცილებლად, საკრედიტო რისკი შეფასების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი არის მომხმარებლის იდენტიფიცირების მიზნით მომხმარებლის მიერ მისი საბანკო ანგარიშიდან ერთი თეთრის გადარიცხვა შპს „სისი ლოუნის“ საბანკო ანგარიშზე. ონლაინ სესხების სტანდარტული პირობებთან ერთად, შპს „სისი ლოუნ“ მომხმარებლებს სთავაზობს სესხის ვადის გაგრძელებას 5-დან 30-დღემდე 10%-დან 22%-მდე საკომისიოს სანაცვლოდ.

2015 წლის განმავლობაში სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	2015 ლარი'000
ნაშთი წლის დასაწყისში	(315)
წმინდა ხარჯი	(2,040)
ნაშთი წლის ბოლოს	(2,355)

2014 წლის განმავლობაში სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	2014 ლარი'000
ნაშთი წლის დასაწყისში	(117)
წმინდა ხარჯი	(198)
ნაშთი წლის ბოლოს	(315)

შემდეგ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია სასესხო პროდუქტების შესაბამისად 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი თანხა ლარი'000	გაუფასურების რეზერვი ლარი'000	საბალანსო დირებულება ლარი'000
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები:			
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	14,593	(808)	13,785
არაუზრუნველყოფილი მოკლევადიანი სესხები*	7,261	(1,541)	5,720
სხვა უზრუნველყოფილი სესხები	212	(6)	206
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	22,066	(2,355)	19,711

შემდეგ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია სასესხო პროდუქტების შესაბამისად 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი თანხა ლარი'000	გაუფასურების რეზერვი ლარი'000	საბალანსო ღირებულება ლარი'000
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები:			
უმრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	13,789	(305)	13,484
არაუზრუნველყოფილი მოკლევადიანი სესხები*	215	(7)	208
სხვა უზრუნველყოფილი სესხები	16	(3)	13
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	14,020	(315)	13,705

(კ) კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვი ლარი'000	წმინდა სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვის შეფარდება მთლიან სესხებთან, %
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები				
იპოთეკის სესხები				
- არავადაგადაცილებული	7,884	(39)	7,845	0.5%
- 30 დღემდე ვადაგადაცილება	1,291	(6)	1,285	0.5%
- 30-60 დღე ვადაგადაცილება	348	(17)	331	4.9%
- 60-180 დღე ვადაგადაცილება	1,655	(166)	1,489	10.0%
- 180-360 დღე ვადაგადაცილება	2,560	(384)	2,176	15.0%
- 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	855	(196)	659	22.9%
სულ იპოთეკის სესხები	14,593	(808)	13,785	5.5%
არაუზრუნველყოფილი მოკლევადიანი სესხები				
- არავადაგადაცილებული	4,855	(242)	4,613	5.0%
- 30 დღემდე ვადაგადაცილება	1,145	(354)	791	30.9%
- 30-60 დღე ვადაგადაცილება	749	(519)	230	69.3%
- 60-180 დღე ვადაგადაცილება	346	(274)	72	79.2%
- 180-360 დღე ვადაგადაცილება	154	(140)	14	90.9%
- 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	12	(12)	-	100.0%
სულ არაუზრუნველყოფილი მოკლევადიანი სესხები	7,261	(1,541)	5,720	21.2%
სხვა უზრუნველყოფილი სესხები				
- არავადაგადაცილებული	179	(1)	178	0.6%
- 61-180 დღე ვადაგადაცილება	7	(1)	6	14.3%
- 181-365 დღე ვადაგადაცილება	4	(1)	3	25.0%
- 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	22	(3)	19	13.6%
სულ სხვა უზრუნველყოფილი სესხები	212	(6)	206	2.8%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	22,066	(2,355)	19,711	10.7%

მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვი ლარი'000	წმინდა სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვის შეფარდება მთლიან სესხებთან, %
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები				
იპოთეკის სესხები				
- არავადაგადაცილებული	9,713	(49)	9,664	0.5%
- 30 დღემდე ვადაგადაცილება	1,458	(7)	1,451	0.5%
- 30-60 დღე ვადაგადაცილება	816	(40)	776	4.9%
- 60-180 დღე ვადაგადაცილება	1,156	(115)	1,041	9.9%
- 180-360 დღე ვადაგადაცილება	405	(93)	312	23.0%
სულ იპოთეკის სესხები	13,548	(304)	13,244	2.2%
არაუზრუნველყოფილი მოკლევადიანი სესხები				
- არავადაგადაცილებული	241	(1)	240	0.4%
სულ არაუზრუნველყოფილი მოკლევადიანი სესხები	241	(1)	240	0.4%
სხვა უზრუნველყოფილი სესხები				
- არავადაგადაცილებული	150	(1)	149	0.7%
- 30 დღემდე ვადაგადაცილება	81	(9)	72	11.1%
სულ სალომზარდო სესხები	231	(10)	221	4.3%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	14,020	315	13,705	2.3%

(ლ) სესხის გაუფასურების გაანგარიშებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები და მსჯელობები

(i) ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები

ჯგუფს არ გააჩნია ინდივიდუალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სესხები.

ხელმძღვანელობა ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების გაუფასურების შეფასებას გაუფასურებული სესხებისთვის მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზისა და ისტორიული ზარალის გამოცდილების საფუძველზე ახდენს.

ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული არსებითი დაშვებები ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას მოიცავს: ვადაგადაცილებული გადასახადები სესხის ხელშეკრულების შესაბამისად, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობისა მნიშვნელოვნად გაუარესება და სესხის უზრუნველყოფის რეალიზების შესაძლებლობა, თუკი ასეთი არსებობს.

იპოთეკური სესხებისთვის გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებითი დაშვებები, რომლებიც მოიცავენ:

- 0.5%-იანი კოლექტიური ანარიცხი ეკონომიკური გარემოსა, არავადაგადაცილებული სესხებისთვის საბაზრო ზარალის გამოცდილებისა და 30 დღემდე ვადაგადაცილებული სესხების გათვალისწინებით;
- გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების მქონე სესხებისთვის 6-12 თვიანი დაგვიანება შემოსავლების მიღებაში უზრუნველყოფის რეალიზებისგან და 10-20% დისკონტისგან ლიკვიდურ (რომელიც თავდაპირველი შეფასების ღირებულების 70%-ზე მეტს არ შეადგენს) ღირებულებასთან მიმართებაში, თუ დაგირავებული საკუთრება იყიდება.

ცვლილებებმა ზემოთ აღნიშნულ შეფასებებში შეიძლება გავლენა იქონიონ სესხის გაუფასურების რეზერვის უზრუნველყოფაზე. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ სავარაუდო ფულადი სახსრების მოძრაობის წმინდა მიმდინარე ღირებულება პლუს/მინუს 3%-ით განსხვავებული იქნება, კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა 591 ათასი ლარით მეტი/ნაკლები (2014: 411 ათასი ლარი).

(მ) უზრუნველყოფის ანალიზი

(i) ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს სესხის პორტფელის ანალიზს, გაუფასურების გამოკლებით:

	2015 ლარი '000	% სესხის პორტფელი	2014 ლარი '000	% სესხის პორტფელი
უძრავი ქონება	13,785	70%	13,244	96%
არაუზრუნველყოფილი სესხები	5,720	29%	240	2%
სხვა უზრუნველყოფილი სესხები	206	1%	221	2%
სულ	19,711	100%	13,705	100%

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს ინფორმაციას უზრუნველყოფილ სესხებზე, გაუფასურების გამოკლებით:

2015 წლის 31 დეკემბერი	კლიენტებზე გაცემული სესხები, საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება განსაზღვრული სესხის დაწყების თარიღისთვის
ლარი '000		
არავადაგადაცილებული სესხები	8,023	8,023
ვადაგადაცილებული სესხები	5,968	5,968
სულ სესხები	13,991	13,991

2014 წლის 31 დეკემბერი	კლიენტებზე გაცემული სესხები, საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება განსაზღვრული სესხის დაწყების თარიღისთვის
ლარი '000		
არავადაგადაცილებული სესხები	9,813	9,813
ვადაგადაცილებული სესხები	3,652	3,652
სულ იპოთეკის სესხები	13,465	13,465

ზემოაღნიშნული ცხრილები წარმოდგენილია ზედმეტი უზრუნველყოფის ეფექტის გარეშე.

სესხების ანაზღაურებადობა რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული დამოკიდებულია მსესხებელთა კრედიტუნარიანობაზე, და არა უზრუნველყოფის ღირებულებაზე და ჯგუფი არ ახდენს უზრუნველყოფის შეფასების განახლებას ყოველი სააღრიცხვო პერიოდისას.

ჯგუფის პოლიტიკაა, გასცეს ისეთი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, რომელთა სესხის უზრუნველყოფის ღირებულებასთან შეფარდების კოეფიციენტი არ აღემატება 60%-ს. სესხის ღირებულებასთან შეფარდების დაბალი კოეფიციენტის გამო, ხელმძღვანელობა არ ელის, რომ შესაძლო ნეგატიური მოძრაობები სესხის უზრუნველყოფის საბაზრო ფასებში იქონიებენ არსებით გავლენას სესხის დაბრუნებაზე. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები მოიცავენ სესხების მთლიანი პორტფელის 67%-ს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2014: 95%-ზე მეტი).

(ii) დასაკუთრებული ქონება

2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ჯგუფმა მიიღო გარკვეული აქტივები კლიენტებზე გაცემული სესხების უზრუნველყოფის დასაკუთრებით, რომლის წმინდა საბალანსო ღირებულება შეადგენს 573 ათას ლარს. 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაკუთრებული ქონება შედგება:

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
უძრავი ქონება	537	713
სხვა აქტივები	36	6
სულ დასაკუთრებული გირაო	573	719

ჯგუფის პოლიტიკაა ამ აქტივების გაყიდვა როგორც კი შესაძლებელი იქნება.

(6) უზრუნველყოფაში ჩადებული აქტივები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხები (2014: ნული) არ წარმოადგენს მიღებული სესხების უზრუნველყოფას.

(ო) მნიშვნელოვანი დაკრედიტების კონცენტრაცია

2015 წლის 31 დეკემბრის ფიზიკურ პირზე გაცემული სესხის ან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფის ბალანსები არ აღემატება კაპიტალის 10%-ს (2014: ნული).

(პ) სესხის დაფარვა

სესხის პორტფელის დაფარვის ვადის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 16 (d) შენიშვნაში, რომელიც ასახავს დარჩენილ პერიოდს ანგარიშგების თარიღიდან სახელმწიფო ვადის დასრულებამდე.

10 ძირითადი საშუალებები

ლარი '000	კომპიუტერები	მანქანები	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
ღირებულება						
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	64	167	64	216	52	563
შესყიდვა	118	61	54	3	44	280
გასვლა	-	(55)	(1)	-	-	(56)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	182	173	117	219	96	787
ცვეთა						
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(34)	(37)	(25)	(116)	(25)	(237)
წლის ცვეთა	(28)	(34)	(18)	(11)	(50)	(141)
გასვლა	-	15	-	-	-	15
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(62)	(56)	(43)	(127)	(75)	(363)
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	120	117	74	92	21	424

ლარი '000	კომპიუტერები	მანქანები	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
ღირებულება						
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	44	83	48	216	52	443
შესყიდვა	20	84	16	-	-	120
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	64	167	64	216	52	563
ცვეთა						
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(18)	(11)	(13)	(67)	(14)	(123)
წლის ცვეთა	(16)	(26)	(12)	(49)	(11)	(114)
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(34)	(37)	(25)	(116)	(25)	(237)
საბალანსო ღირებულება 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30	130	39	100	27	326

11 არამატერიალური აქტივები

ლარი'000	<u>პროგრამული უზრუნველყოფა</u>
ღირებულება	
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	89
შესყიდვა	1
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	90
შესყიდვა	28
გასვლა	(1)
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	116
ამორტიზაცია	
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(29)
პერიოდის ამორტიზაცია	(18)
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(47)
პერიოდის ამორტიზაცია	(22)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(69)
საბალანსო ღირებულება	
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	43
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	47

12 სხვა აქტივები

	<u>2015 ლარი'000</u>	<u>2014 ლარი'000</u>
სხვა მოთხოვნები	477	76
სულ სხვა ფინანსური აქტივები	477	76
დასაკუთრებული აქტივები	1,292	719
წინასწარი გადახდები	104	27
სხვა აქტივები	69	5
სულ სხვა არაფინანსური აქტივები	1,465	751
სულ სხვა აქტივები	1,942	827

13 მიღებული სესხები

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას საკონტრაქტო პირობების შესახებ სესხებისთვის, რომლებსაც ერიცხება პროცენტი და რომელთა შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო განაკვეთის, ლიკვიდობისა და სავალუტო რისკთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ შენიშვნა 16.

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
სესხის ძირი	20,144	10,111
დარიცხული პროცენტი	14	13
	20,158	10,124

ჯგუფის ძირითადი კრედიტორები:

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
გრძელვადიანი ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან	2,395	373
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	-	1,864
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	105	94
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,500	2,331
მოკლევადიანი ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან	12,931	6,719
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	4,310	764
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	417	310
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	17,658	7,793
სულ სესხები	20,158	10,124

(ა) ვადები და ვალდებულების დაფარვის სქემა

სესხების ნაშთების ვადები და პირობები 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი იყო:

2015 წლის 31 დეკემბერი					
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური		ნომინალური	საბალანსო
		საპროცენტო	დაფარვის		
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისაგან	აშშ დოლარი	10%-14%	2016-2018 მოთხოვნით*	15,169	15,169
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისაგან	ევრო	14%	2016	157	157
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარებისგან	აშშ დოლარი	12%-14%	2016 მოთხოვნით*	4,310	4,310
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან***	აშშ დოლარი	12%	2016-2017	522	522

სესხების ნაშთების ვადები და პირობები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი იყო:

2014 წლის 31 დეკემბერი					
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური		ნომინალური	საბალანსო
		საპროცენტო	დაფარვის		
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისაგან	აშშ დოლარი	11%-14%	2015-2016 მოთხოვნით**	7,092	7,092
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარებისგან	აშშ დოლარი	12%-13%	2015-2016 მოთხოვნით**	2,628	2,628
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან***	აშშ დოლარი	12%	2015-2016	404	404
სულ პროცენტებიანი ვალდებულებები				10,124	10,124

* 1 – 30 დღით ადრე შეტყობინების გაგზავნით

** 1 დღით ადრე შეტყობინების გაგზავნით

*** უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან უზრუნველყოფილია დასაკუთრებული ქონებით 500 ათასი ლარის ოდენობის საბალანსო ღირებულებით (2014: 433 ათასი), იხილეთ შენიშვნა 12.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არაუზრუნველყოფილი სესხები ნაშთით 10,015 ათასი ლარი (2014: 671 ათასი ლარი) არის გადახდადი მოთხოვნით 1 თვით ადრე შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში. ამ უფლების გამოყენება იწვევს საპროცენტო განაკვეთის 4-5%-მდე შემცირებას რეტროსპექტიულად სესხის გაცემის დღიდან. სესხების მოკლე და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაციისას გამოყენებულია ხელშეკრულების პირობები ზემოთ აღწერილი ვადაზე ადრე

დაფარვის უფლების გათვალისწინების გარეშე. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ნაკლებად სავარაუდოა მსესხებლებმა ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნის უფლება გამოიყენონ საპროცენტო განაკვეთის შემცირების გამო და ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

14 სხვა ვალდებულებები

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
სხვა დავალიანება (ფინანსური ვალდებულებები)	101	13
წინასწარი მიღებული თანხები (არაფინანსური ვალდებულებები)	14	133
სულ სხვა ვალდებულებები	115	146

15 კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის საფონდო დოკუმენტაციაში არსებულ ნომინალურ კაპიტალს და ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას.

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მთლიანი საწესდებო კაპიტალი იყო 5,000 ათასი ლარი, საიდანაც 4,800 ათასი ლარი იყო გადახდილი.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჯგუფის გასანაწილებელი რეზერვები გაუნაწილებელი მოგების ნაშთამდეა შემცირებული, როგორც ჯგუფის ფასს-ის შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაშია აღრიცხული. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა გაუნაწილებელი მოგება, რომელიც შეადგენდა 539 ათას ლარს (2014: 1,157 ათასი ლარი).

16 რისკების მართვა

რისკების მართვა ჯგუფის საქმიანობის არსებით ნაწილსა და ჯგუფის ოპერაციების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. ჯგუფის წინაშე არსებული ძირითადი რისკებია საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდობის რისკი.

(ა) რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ჯგუფში მოქმედი რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმის განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულად გადაიხედება საბაზრო გარემოსა, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების საფუძველზე საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭო ზოგადად პასუხისმგებელია რისკების მართვის მასშტაბის ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურების გადახედვა-განახლებაზე და არსებითი ზემოქმედების დამტკიცებაზე.

ჯგუფის აღმასრულებელ ხელმძღვანელებსა და ფინანსურ ფუნქციას ევალებათ რისკების შემცირების მონიტორინგი, განხორციელება და ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ ჯგუფის საქმიანობა განსაზღვრული სარისკო პარამეტრების ფარგლებში მიმდინარეობდეს. მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელი პასუხისმგებელია რისკების ზოგად მართვაზე და უზრუნველყოფს საერთო პრინციპებისა და მეთოდების დანერგვას ფინანსური და არაფინანსური რისკების გამოვლენის, შეფასების, მართვის და ანგარიშისათვის. ის ანგარიშს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს.

რისკების გარე და შიდა ფაქტორების გამოვლინება და მართვა ხდება ორგანიზაციის ფარგლებში. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება რისკების ფაქტორების გამოვლინებას და მიმდინარე რისკების შემცირების პროცედურების უზრუნველყოფის დონეს. საკრედიტო და საბაზრო რისკების ანალიზების სტანდარტის გარდა რისკების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს ფინანსური და არაფინანსური რისკების მონიტორინგს რეგულარულ შეხვედრებზე, რათა მიიღოს ექსპერტული შეფასება.

(ბ) საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მომავალი ფულადი ნაკადების ცვალებადობის რისკს, რაც გამოწვეულია საბაზრო ფასების ცვლილებით. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა სახის საფასო რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა სავალუტო და კაპიტალის ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და საბაზრო ფასების რყევებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ჩარჩოში, რისკის ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საბაზრო რისკების მართვის უფლებამოსილება სამეთვალყურეო საბჭოზეა მინიჭებული.

საბაზრო რისკების მართვისას ჯგუფი ადგენს ღია პოზიციების შეზღუდვებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო განაკვეთთან და ვალუტის პოზიციასთან დაკავშირებით. ამის მონიტორინგი, განხილვა და დამტკიცება მუდმივად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

(i) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების რყევების ზეგავლენის რისკს ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე შესაძლოა ზემოქმედებდეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები. საპროცენტო ზღვარი შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების

შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს კიდევ ან განაპირობოს ზარალი, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ რყევებს.

საპროცენტო განაკვეთის შედარებების ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვა ხდება საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების განსხვავებები:

ლარი'000	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	უპროცენტო	საბალანსო ღირებულება
2015 წლის 31 დეკემბერი							
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,937	-	-	-	-	29	3,966
კლიენტებზე გაცემული სესხები	12,710	1,531	1,401	4,069	-	-	19,711
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	477	477
სულ აქტივები	16,647	1,531	1,401	4,069	-	506	24,154
ვალდებულებები							
სესხები	(10,787)	(1,909)	(4,962)	(2,500)	-	-	(20,158)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(101)	-	-	-	-	-	(101)
სულ ვალდებულებები	(10,888)	(1,909)	(4,962)	(2,500)	-	-	(20,259)
წმინდა საბალანსო პოზიცია	5,759	(378)	(3,561)	1,569	-	506	3,895
ლარი'000	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 თვეზე მეტი	უპროცენტო	საბალანსო ღირებულება
2014 წლის 31 დეკემბერი							
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,442	-	-	-	-	29	1,471
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,549	1,248	2,063	7,800	45	-	13,705
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	76	76
სულ აქტივები	3,991	1,248	2,063	7,800	45	105	15,252
ვალდებულებები							
სესხები	(6,308)	(1,027)	(458)	(2,331)	-	-	(10,124)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(13)	-	-	-	-	-	(13)
სულ ვალდებულებები	(6,321)	(1,027)	(458)	(2,331)	-	-	(10,137)
წმინდა საბალანსო პოზიცია	(2,330)	221	1,605	5,469	45	105	5,115

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილში ასახულია შემოსავლიანი აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები ასახავს ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვამდე შემოსავლიანობის გასაშუალოებულ მაჩვენებელს.

	2015 საშუალო ეფექტური განაკვეთი, % ლარი	2015 საშუალო ეფექტური განაკვეთი, % აშშ დოლარი	2015 საშუალო ეფექტური განაკვეთი, % ევრო	2014 საშუალო ეფექტური განაკვეთი, % აშშ დოლარი
პროცენტის აქტივები კლიენტებზე გაცემული სესხები	166%	30%	-	31%
პროცენტის ვალდებულებები მიღებული სესხები	-	12%	14%	13%

საპროცენტო განაკვეთის სენსიტიურობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სენსიტიურობის მონიტორინგთან ერთად საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ხორციელდება. წმინდა მოგების სენსიტიურობის ანალიზი, საპროცენტო განაკვეთში ცვლილებებზე (ფასების შეცვლის რისკი), რომელიც ქვემოთ არის მოცემული, ეყრდნობა ყველა შემოსავლის მრუდეების 100 ერთეულით სიმეტრიული ვარდნის ან ზრდის გამარტივებულ სცენარს. საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებების არსებული პოზიციები 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2015 ლარი '000	2014 ლარი '000
პარალელური ვარდნა 100 ერთეულით	(71)	1
პარალელური ზრდა 100 ერთეულით	71	(1)

(ii) სავალუტო რისკი

ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები გამოხატულია უცხოურ ვალუტაში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიძლება შეიცვალოს უცხოური ვალუტების კურსებში მომხდარი ცვლილებების გამო.

*მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „კონტინენტალ სითი კრედიტი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2015 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის*

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო პოზიციის სტრუქტურას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	557	3,390	19	3,966
კლიენტებზე გაცემული სესხები	5,720	13,991	-	19,711
სხვა ფინანსური აქტივები	477	-	-	477
სულ აქტივები	6,754	17,381	19	24,154
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	(20,001)	(157)	(20,158)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(70)	(22)	(9)	(101)
სულ ვალდებულებები	(70)	(20,023)	(166)	(20,259)
წმინდა საბალანსო პოზიცია	6,684	(2,642)	(147)	3,895

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო პოზიციის სტრუქტურას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	29	1,350	4	1,383
კლიენტებზე გაცემული სესხები	241	13,464	-	13,705
სხვა ფინანსური აქტივები	76	-	-	76
სულ აქტივები	346	14,814	4	15,164
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	(10,124)	-	(10,124)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(12)	(1)	-	(13)
სულ ვალდებულებები	(12)	(10,125)	-	(10,137)
წმინდა საბალანსო პოზიცია	334	4,689	4	5,027

მნიშვნელოვანი სავალუტო კურსები გამოყენებული წლის განმავლობაში:

ლარში	სპოტ განაკვეთი			
	საშუალო განაკვეთი		ანგარიშსწორების თარიღისთვის	
	2015	2014	2015	2014
1 აშშ დოლარი	2.2702	1.7659		1.8636
1 ევრო	2.5204	2.3462		2.2656

ლარის კურსის შესუსტება, როგორც ქვემოთაა მითითებული, შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდიდა (შეამცირებდა) მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები თანხების მიხედვით. აღნიშნული ანალიზი არ ითვალისწინებს გადასახადებს და ეყრდნობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობას, რომელიც ჯგუფმა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს შესაძლოდ ჩათვალა. ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა სხვა ცვლადი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთები უცვლელია.

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
10% დოლარის გამყარება ლართან მიმართებაში	(225)	835
10% ევროს გამყარება ლართან მიმართებაში	(12)	-

ლარის გამყარებას ზემოთმოყვანილ ვალუტებთან, 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს ექნებოდა თანაბარი, თუმცა, საწინააღმდეგო ეფექტი ნაჩვენებ თანხაზე, იმის დაშვებით, რომ სხვა დანარჩენი ცვლადი მუდმივია.

(გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში.

ჯგუფს შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, მათ შორის საკრედიტო კომიტეტების, ანალიტიკური ორგანოების, შექმნა რომლებიც ახორციელებენ არსებული ინფორმაციის ანალიზს, საკრედიტო რისკის შეფასებას და შემცირებას. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვის და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- მეთოდოლოგია უზრუნველყოფის შესაფასებლად
- მოთხოვნები საკრედიტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით
- სესხების და სესხებთან დაკავშირებული სხვა რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურები.

საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს საკრედიტო განცხადების დაფინანსების ან უარის თქმის შესახებ. კომიტეტისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეყრდნობა შეზღუდვებს, რომლებიც საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებშია დადგენილი.

საკრედიტო კომიტეტისთვის წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორის პასუხისმგებლობა ეკისრება საკრედიტო ოფიცერს, რომელიც ავსებს თავდაპირველ განცხადებას განმცხადებლის ბიზნეს და საკრედიტო რისკების სათანადო და ჯეროვანი განხილვის შემდეგ. საამისოდ ის იყენებს შეფასების მოდელებს და განცხადებაში წარდგენილი ინფორმაციის შემოწმების პროცედურებს. საბოლოოდ კი საკრედიტო კომიტეტი შეფასებას აძლევს განცხადებას დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად (განმცხადებლის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, კონკურენტუნარიანობა და ა.შ.).

საკრედიტო რისკების კონტროლი ასევე გირაოსა და პირადი გარანტიების მიღებით ხორციელდება.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი ზოგადად აისახება საბალანსო ანგარიშგების ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

კლიენტებისთვის გაცემული გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებისა და საკრედიტო რისკების კონცენტრაციის ანალიზისთვის იხილეთ შენიშვნა 10.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნია 3 მევალე ან დაკავშირებულ მევალეთა ჯგუფი (2014: ნული), რომლებისადმიც საკრედიტო რისკი აღემატება მაქსიმალური საკრედიტო რისკის 10%-ს.

(დ) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომლის წინაშეც დგება ჯგუფი იმ თანხების მოზიდვის გართულების შემთხვევაში, რომელიც აუცილებელი იქნება მისი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადა განსხვავებულია. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდობის მართვის ქვაკუთხედს. სრული შესაბამისობის მიღწევა მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში შეუძლებელია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად განუსაზღვრელი პირობით ვითარდება და თანაც სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მოგებას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.

ჯგუფი მართავს ლიკვიდობას, უზრუნველყოფს რა ხელმისაწვდომ თანხებს ნებისმიერ დროს ვადამოსული, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიზნით. ლიკვიდობის პოლიტიკის გადახედვასა და დამტკიცებას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო.

- ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა მოიცავს შემდეგს:
- ნაღდი ფულის მოძრაობის პროექტირება ძირითადი ვალუტის მიხედვით, ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელი იქნება ამ კუთხით
- დაფინანსების მრავალფეროვანი წყაროების შენარჩუნება
- კონცენტრაციის მართვა და ვალდებულებების პროფილი
- ვალდებულებების დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფა
- ლიკვიდურობისა და დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფა გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში

ლიკვიდობის მონიტორინგი ხორციელდება ფინანსური დეპარტამენტის მიერ. ნორმალური საბაზრო პირობების ფარგლებში ინფორმაცია ლიკვიდობაზე წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს ყოველკვირეულად. გადაწყვეტილებებს ლიკვიდობის მართვის შესახებ იღებს სამეთვალყურეო საბჭო და ახორციელებს ფინანსური დეპარტამენტი.

*მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „კონტინენტალ სითი კრედიტი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2015 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის*

წინამდებარე ცხრილებში ასახულია არადისკონტირებული ნაღდი ფულადი ნაკადები ჯგუფის ვალდებულებებისა მათი უადრესი შესაძლო სახელშეკრულებო ვადიანობის საფუძველზე. მთლიანი გადინება და შემოდინება, რომელიც ასახულია ცხრილში, წარმოადგენს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ნაღდ ფულად ნაკადს ფინანსურ ვალდებულებასთან მიმართებაში.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ლარი'000	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	მთლიანი	საბალანსო ღირებულება
						გადინების თანხა	
არაწარმოებული ვალდებულებები							
სესხები	6,524	4,595	2,189	2,687	5,280	21,275	20,158
სხვა ფინანსური ვალდებულებები	101	-	-	-	-	101	101
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,589	4,521	2,076	2,615	5,575	21,376	20,259

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

GEL'000	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	მთლიანი	საბალანსო ღირებულება
						გადინების თანხა	
არაწარმოებული ვალდებულებები							
სესხები	5,981	436	1,135	608	2,529	10,690	10,124
სხვა ფინანსური ვალდებულებები	13	-	-	-	-	13	13
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,994	436	1,136	608	2,529	10,703	10,137

*მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „კონტინენტალ სითი კრედიტი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2015 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის*

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით 2015 წლის 31 დეკემბრისათვის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ანალიზი:

ლარი'000	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	უვადო	ვადაგადაცი -ლებული	სულ
არაწარმოებული აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი	3,966	-	-	-	-	-	3,966
ეკვივალენტები კლიენტებზე გაცემული სესხები	9,324	647	3,034	4,069	-	2,637	19,711
ძირითადი საშუალებები	-	-	-	-	424	-	424
არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	47	-	47
გადავადებული საგადასახადო აქტივები	-	-	-	-	315	-	315
სხვა აქტივები	651	-	-	-	1,291	-	1,942
სულ	13,941	647	3,034	4,069	2,077	2,637	26,405
არაწარმოებული აქტივები							
ვალდებულებები							
მიღებული სესხები	6,511	4,276	6,871	2,500	-	-	20,158
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	-	-	708	-	-	-	708
სხვა	115	-	-	-	-	-	115
სულ	6,626	4,276	7,579	2,500	-	-	20,981
წმინდა პოზიცია	7,315	(3,629)	(4,545)	1,569	2,077	2,637	5,424

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით 2014 წლის 31 დეკემბრისათვის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ანალიზი:

ლარი '000	მოთხოვნამდ				უვალო	ვადაგადაცი -ლებული	სულ
	ე და 1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე			
არაწარმოებული აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი	1,471	-	-	-	-	-	1,471
ეკვივალენტები კლიენტებზე გაცემული სესხები ძირითადი	488	1,276	3,356	7,800	-	785	13,705
საშუალებები არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	326	-	326
გადავადებული საგადასახადო აქტივები	-	-	-	-	43	-	43
სხვა აქტივები	108	-	-	-	719	-	827
სულ არაწარმოებული აქტივები	2,067	1,276	3,356	7,800	1,131	785	16,415
არაწარმოებული ვალდებულებები							
მიღებული სესხები მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება სხვა	5,950	358	1,485	2,331	-	-	10,124
ვალდებულებები სხვა	146	-	-	-	-	-	146
სულ არაწარმოებული ვალდებულებები	6,096	358	1,676	2,331	-	-	10,461
წმინდა პოზიცია	(4,029)	918	1,680	5,469	1,131	785	5,954

17 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ჯგუფის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსაზღვრის მიზნად, შესაძლებელია ჯგუფმა დააკორექტიროს მეწილეებისათვის

გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მეწილეებს, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას 250,000 ლარის ოდენობით.

18 გაუთვალისწინებელი გარემოებები

(ა) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის უძრავ ქონებაზე, დანადგარ-აღჭურვილობაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე ჯგუფის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ ჯგუფი მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციებზე.

(ბ) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მაქსიმალური ვალდებულება, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი დავების შედეგად (თუკი საერთოდ წარმოიშვა), არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

(გ) დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში არანაირი ვალდებულებების, ჯარიმების და საურავების დაწესება არ არის შესაძლებელი, თუ ექვს წელზე მეტი იქნება გასული საგადასახადო წლიდან, როდესაც მოხდა დარღვევა.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადექვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი

ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი.

19 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) მმართველობითი ურთიერთობა

კომპანიას თანაბარად ფლობს ორი პირი, რომლებიც ასევე არიან საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები.

(ბ) ოპერაციები სამეთვალყურეო საბჭოსთან და ხელმძღვანელობასთან

ქვემოთ წარმოდგენილია ანაზღაურება, რომელიც შესულია თანამშრომელთა ხელფასებში 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის:

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
ხელფასები და პრემიები	1,117	749

(გ) ოპერაციები მესაკუთრეებთან

მესაკუთრეებთან ოპერაციების ნაშთები და შესაბამისი მოგების ან ზარალის თანხა 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შემდეგია:

	შენიშვნა	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	4,311	2,628
მოგება (ზარალი)			
საპროცენტო ხარჯები		(832)	167

სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების ნაშთების უმეტესი ნაწილის დაფარვა ხდება 1 წლის განმავლობაში. სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ არის უზრუნველყოფილი.

20 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულება და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

(ა) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და რეალური ღირებულება

ჯგუფი ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს გამოყენებული შემავალი მონაცემების მნიშვნელობას შეფასების გაკეთებისას:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

- დონე 2: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელიც შეფასებულია: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.
- დონე 3: არადაკვირვებადი რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტებისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს შემავალ მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად მონაცემებს და ხელმისაწვდომი შემავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლის შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასების მიზანია ყველაზე უფრო ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე რეალური ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც მიღწევადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

ჯგუფმა განსაზღვრა რეალური ღირებულება შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია რეალური ფასის განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის. შეფასების მეთოდი წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი სახსრების მოდელს.

ჯგუფი იყენებს შემდეგ დაშვებებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისას:

- 19-36%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება კლიენტებზე გაცემული სესხებისგან მიღებული მომავალი ფულადი სახსრების დისკონტირებისთვის;
- 10-14%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება სესხებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებისთვის.

2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლის რეალური ღირებულება შეფასების მეთოდებს ეფუძნება, მათ შორის დაკვირვებადი არასაბაზრო შემავალი მონაცემების გამოყენებას.

ჯგუფის შეფასების თანახმად, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2016 წლის იანვარში ჯგუფმა გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 826 ათასი ლარის ოდენობით.

2016 წლის აპრილში, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა „CC Continental City Capital LTD“, რომელიც დარეგისტრირებულია კვიპროსში. ცვლილების შედეგად, საბოლოო მაკონტროლებელ მეწილეები გახდნენ: რატი ჭელიძე - 50% (საქართველო), ვიკა ზაშიროვ - 16.68% (საქართველო), გაი ბენ ლევი 16.66% (ისრაელი) და დავით უზარაშვილი - 16.66% (საქართველო).

2016 წლის აპრილში ჯგუფმა გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 1,716 ათასი ლარის ოდენობით.

2016 წლის აგვისტოში ჯგუფმა გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 1,000 ათასი ლარის ოდენობით.

2016 წლის იანვარ-აგვისტოში, ჯგუფმა გადაიხადა 1,967 ათასი აშშ დოლარისა და 60 ათასი ევროს ოდენობის აღებული სესხები, რომლებიც იყო ჩართული 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მირებულ სესხებში, როგორც არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან და არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან. იმავე პერიოდში, ჯგუფმა აიღო არაუზრუნველყოფილი სესხები 2,623 ათასი აშშ დოლარისა და 100 ათასი ევროს ოდენობით ოდენობით

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საბოლოო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელის სახელწოდებით არის ცნობილი), რომლის საფუძველზეც დაბეგვრის მომენტი გადადის მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღზე. კანონპროექტი უკვე შესულია იურიდიულ ძალაში და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდგომი საგადასახადო პერიოდებისთვის ყველა ორგანიზაციისთვის ფინანსური ინსტიტუტებს გარდა (როგორც არის სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. ამ კანონის ამოქმედებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საქართველოში მოქმედი საწარმოების მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებზე.